პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

СССР — ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 294 (18536) პარასკევი, 24 დეკემბერი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

1982-83 წლის ზამთრის პერიოდში პირუტყვის წარმატებული გამოზამთრებისა, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გაზრდისათვის

რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ

თავიანთ დადგენილებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, პროფსაბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ, ახორციელებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანოები, კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, სოფლის მეურნეობისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა დარგების მუშაკები ბეჯითად შრომობენ სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის რეალიზაციისთვის, გეგმებისა და სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის.

წარმოების ცალკეულმა მოწინავეებმა, მეცხოველეობის ბრიგადებმა და ფერმებმა, აგრეთვე დუშეთის რაიონის დაბა ფასანაურის, ხობის რაიონის სოფელ ახალი ხიბულის კოლმეურნეობებმა, მარნეულის რაიონის ალგეთის მექანიზმის საბჭოთა მეურნეობამ, საგარეჯოს რაიონის გიორგიწმინდის მეღორეობის კომპლექსმა, გარდაბნის რაიონის ჯანდარის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სასუქებელმა საბჭოთა მეურნეობამ და ბეგრმა სხვამ გამოიჩინეს ინიციატივა, რომ გაზაფხულ რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრება 1982-83 წლის ზამთრის პერიოდში პირუტყვის წარმატებული გამოზამთრებისათვის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გადიდებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, პროფსაბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, რომლებიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ კოლმეურნეებს, მუშებისა და სპეციალისტების, სოფლის მეურნეობისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა დარგების ყველა მშრომელის შემოქმედებითი აქტიურობის შემდგომ განვითარებას პირუტყვის ორგანიზებული გამოზამთრების, მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების რაც შეიძლება სწრაფი გადიდების რეზერვებისა და შესაძლებლობების გამოვლენისა და გამოყენებისათვის, და „1982/83 წლის ზამთრის პერიოდში პირუტყვის წარმატებით გამოზამთრებისათვის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გადიდებისათვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად, მოიწონეს მეცხოველეობის ბრიგადებისა და ფერმების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების კოლექტივების, აგრეთვე რაიონებსა და ქალაქების, ავტონომიურ რესპუბლიკებისა და ავტონომიურ ოლქს, რომლებიც ორგანიზებულად გამოაზამთრებენ პირუტყვს, მიიღონ ვალდებულება უმაღლეს მაჩვენებლებს ხორცის, რძისა და სხვა პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში, უზრუნველყოფენ პირუტყვის სულადობის შენარჩუნებას, გაზრდიან მის პროდუქტიულობას, რაც შეიძლება გადიდებენ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებასა და შესყიდვას.

რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულად ცნობენ აგრეთვე საქსოსფტექნიკის, ხორცისა და რძის, კომბინირებული საკვების მრეწველობის საამქროების, უბნების, საწარმოებისა და გაერთიანებების კოლექტივებს, რომლებიც ყველაზე მეტად გამოიჩენენ თავს და უზრუნველყოფენ მეცხოველეობის ფერმებისა და საკვების საამქროების, მანქანებისა და მოწყობილობის შეუფერხებელ და ეფექტიან მუშაობას, ხორცის, რძისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქციის დროულ გადამუშავებას, მთლიანად და გადაუპრიანებით შესრულებენ კომბინირებული საკვების, საკვები დანამატების, ცილოვანი ნედლეულის წარმოებისა და სოფლის მეურნეობისათვის მიწოდების გეგმებს და ამით ხელს შეუწყობენ პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობის ზრდას, მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისა და შესყიდვის გეგმების მთლიანად და გადაუპრიანებით შესრულებას.

1982/83 წლის ზამთრის პერიოდში პირუტყვის წარმატებული გამოზამთრებისათვის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გადიდებისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგები შეჯამდება 1982 წლის IV კვარტალისა და 1983 წლის პირველი ნახევრის საქმიანობის მაჩვენებელთა გათვალისწინებით.

დადგენილია, რომ წინადადებანი გამარჯვებულთა დაჯილდოების შესახებ სოციალისტური შეჯიბრების რესპუბლიკურ კომისიას უნდა გამოუგზავნონ 1983 წლის 20 იანვარამდე.

დაწესებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 30 საპატიო სიგელი რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად. მათ შორის:

— ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქისათვის — ერთი საპატიო სიგელი და ფულადი პრემია 10 ათასი მანეთის ოდენობით;

— რაიონებისათვის — 7 საპატიო სიგელი და ფულადი პრემიები — თითოეული 5 ათასი მანეთის ოდენობით;

— კოლმეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო საწარმოების დაჯილდოებისათვის — 12 საპატიო სიგელი და ფულადი პრემიები — თითოეული 3 ათასი მანეთის ოდენობით;

— საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის — 10 საპატიო სიგელი და ფულადი პრემიები — თითოეული 3 ათასი მანეთის ოდენობით, მათ შორის: მეცხოველეობის კომპლექსებისათვის — 2 საპატიო სიგელი და საქართველოს სსრ ხიდობოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობების დასაჯილდოებლად — 3 საპატიო სიგელი და ფულადი პრემიები — თითოეული 3 ათასი მანეთის ოდენობით.

მიღებულია წინადადებანი:

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა, რომ დაწესდეს 15 სამახსოვრო ვიმპელი, რომლებიც გადაეცემათ საუკეთესო კომკავშირულ-ახალგაზრდულ კოლექტივებს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ნიშნით „მოწინავე ახალგაზრდა მეცხოველე“ დაჯილდოდეს 150 მოწინავე მეცხოველე;

— სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტისა, რომ 1983 წელს რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა წასახალისებლად 1983 წელს გამოიყოს დასასვენებელი სახლების 150 საგზური, და **ხილბოსტნეულის მეურნეობისა და დამზადების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტისა** — გამოიყოს დასასვენებელი სახლების 20 საგზური.

— საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და ხილბოსტნეულის მეურნეობის, სამინისტროებისა და პროფკავშირთა შუახანებისა რესპუბლიკური კომიტეტისა, რომ დაწესდეს ამ სამინისტროებისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების 40 საპატიო დიპლომი და ფულადი პრემიები 200-დან 400 მანეთამდე—ფერმების, ბრიგადების, უბნების კოლექტივების დასაჯილდოებლად, აგრეთვე აღნიშნული სამინისტროებისა და პროფკავშირთა შუახანებისა რესპუბლიკური კომიტეტების 150 საპატიო დიპლომი და ფულადი პრემიები — თითოეული 50 მანეთის ოდენობით წარმოების მოწინავეთა,

რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაევალა 1983 წელს გაითვალისწინოს 300 მსუბუქი ავტომობილისა და 80 იმპორტული ავეჯის გარნიტურის გამოყოფა, რათა ისინი რიგგარეშე მიეყიდოთ რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებს.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოებს წინადადება მიეცათ განხორციელონ საკრები ღონისძიებანი, რათა კიდევ უფრო განმტკიცდეს მეცხოველეობის კომპლექსებში და ფერმებში კვალიფიციური კადრებით, უწინარეს ყოვლისა, კომუნისტებსა და კომკავშირელებს ხარჯზე, ამამლონს მომთხოვნელობა ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებისადმი მინდობილი საქმისათვის. გაააქტიურონ პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ჯგუფების, სახალხო კონტროლის საგუშაგოებისა და ჯგუფების საქმიანობა, რათა ამაღლდეს სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობა, ამოქმედდეს შინაგანი რეზერვები ხორცის, რძისა და სხვა პროდუქციის წარმოების გადიდებისათვის, ამმოიფხვრას უყაირათობისა და ფლუანგველობის ფაქტები. უფრო ფართოდ გაშალონ ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა კოლექტივებში, მათი მეცადინეობა მოახმარონ სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის რეალიზაციას, მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გადიდების დამატებითი რეზერვების გამოვლენას.

• • •

რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს დაევალათ ფართოდ გააშუქონ პირუტყვის წარმატებული გამოზამთრებისათვის, მეცხოველეობის მაღალი პროდუქტიულობისათვის, საკვების აყირათობანი გამოაყენებისათვის, გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა, ყოველმხრივ გაფენონ პრაქაანები წარმოების მოწინავეთა და ნოვატორთა გამოცდილების, პრაქტიკულად გააშუქონ ჩამორჩენილი ფერმებისა და მეურნეობების მუშაობა.

• • •

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, ხორცისა და რძის, კომბინირებული საკვების მრეწველობის, საქსოსფტექნიკის საწარმოებისა და გაერთიანებების მშრომელები, რომლებიც აქტიურად ჩაებმებიან პირუტყვის წარმატებული გამოზამთრებისათვის რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში, მოიპოვებენ კარგ შედეგებს ხორცის, რძისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გადიდებაში, თავიანთ წვლილს შეიტანენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა და სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის შესრულებაში. (საქინფორმი).

მშვიდობისა და მეგობრობის უშრეტი ძალა

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანმა, დიდი ენთუზიაზმით აღიქვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მოხსენება, რომელიც მან წარმოთქვა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და რუსეთის სფსრ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გაერთიანებულ საზეიმო სხდომაზე. ისინი სავსებით იწონებენ და მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას და მომავალშიც თავიანთ წვლილს შეიტანენ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში.

მილწევები გვაფრთხილებს, გვრაზმავს

ქოგულეთის რაიონის მშრომელები სულითა და გულით ულოცავენ რესპუბლიკის მეცეტრუსეებს დიდ გამარჯვებას — დაამზადეს ბეგრის შესარულები. ეს გამარჯვება დიდმნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ იგი მოამზადეს სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის საზეიმო დღეებში.

ეს წარმატება განსაკუთრებულია აჭარის მშრომელებისათვის, რადგან ისინი მამაცურად გაისარკვნენ დასახული მიზნის მისაღწევად, სახელმწიფოს მიჰყიდეს 118 ათას ტონაზე მეტი ციტრუსი და ამით გეგმაც შესარულეს, ქობულეთელმა მეციტრუსეებმა კი საგეგმო 67 ათასი ტონის ნაცვლად 69 ათას ტონაზე მეტი დაამზადეს.

ციტრუსის კრეფა გრძელდება და უახლოეს დღეებში ნაკისრი სოციალისტურ ვალდებულებასაც შეავსრულებთ. სამშობლოს მივეცემთ 72 ათას ტონა ციტრუსს.

რაიონში დიდი მუშაობა გაიშალა იმისთვის, რომ პირად დამზმარე მეურნეობებში მოწეული ციტრუსი მალიანად მიგვეყიდა სახელმწიფოსათვის. ამ მეცადინეობამ შედეგი გამოიღო. გადაჭარბებით შესრულდა მოსახელობასა და დამამზადებელ-ყაიდით, უწინარეს ყოვლისა, კოლმეურნეობა და კომკავშირელების ხარჯზე, ამამლონს მომთხოვნელობა ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებისადმი მინდობილი საქმისათვის. გააქტიურონ პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ჯგუფების, სახალხო კონტროლის საგუშაგოებისა და ჯგუფების საქმიანობა, რათა ამაღლდეს სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობა, ამოქმედდეს შინაგანი რეზერვები ხორცის, რძისა და სხვა პროდუქციის წარმოების გადიდებისათვის, ამმოიფხვრას უყაირათობისა და ფლუანგველობის ფაქტები. ეს ფერმერული ფორმაა ციტრუსის გაგზავნის გეგმაც. ამასთან საკონსერვო მრეწველობამ შემდგომი გადამუშავებისათვის შებოლა 15 ათას ტონამდე ციტრუსი.

ეს წარმატებები იოლი არ ყოფილა, ოფო შეფერხებებიც, განსაკუთრებით ტრანსპორტირების საქმეში, მაგრამ სიძნელეები გადალახულია. ახლა მთელი ყურადღება ნარჯაობის გამოზამთრებაზეა გადატანილი. ზორაკიანდა ღონისძიებები იმისათვის, რომ გავადიდოთ მოსავლიანობა საზოგადოებრივ მეურნეობებში და ამით კიდევ უკეთესი წანამძღვრები შეექმნათ რაიონის სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის, ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის.

ასეთ ორიენტირს გვისახავს სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის საიუბილეო ზეიმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მოხსენება, რომელიც რაიონის მშრომელებმა ერთსულოვნად მოიწონეს და გამოხატეს მზადყოფნა კიდევ უფრო ამაღლონ პასუხისგებლობა მინდობილი საქმის კეთილსინდისიერად, უზადოდ შესრულებისათვის, მუშაობის ყველა უბანზე შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის.

ბ. ჯიქია,
საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის პირველი მდივანი.

საქმით ვუპასუხებთ

ჩაკენ, ტყიბულელ მეშახტეებს, როცა ტელეფონიით ცრელის ყრილობათა სასახლიდან სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომას გადმოსცემდნენ, ისეთი გრძნობა დაგვებადა თითქოს ყველი ჩვენგანი იმ დიდი თაყვანისცემის უშუალო მონაწილენი ვყოფილიყავით. ან ისე ახლო მოვედი კრემლი მეშახტეთა ქალაქში, შახტებთან, თითოეული ჩვენგანის ოჯახთან.

მაღალი ტრიბუნიდან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის მოხსენების მოსმენისას მე და ჩემი კოლეგები ერთხელ კიდევ დაერწმუნდნენ, რომ საბჭოთა კავშირში ყველაფერი კეთდება მასში გაერთიანებული რესპუბლიკების, კულტურული და ეკონომიკური განვითარებისათვის, ხალხთა შორის ლენინური შეგობრობის განმტკიცებისათვის.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუხრელად იბრძვიან მშვიდობისათვის, რათა მომავალმა თაობებმა არ იცოდნენ, რა არის ომის საშინელება. სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავზე დიდმა საბჭოთამა მსოფლიოს ხალხებს „ახალი საშვიდობო პროგრამა გააცნო და უჩვენა, რომ იგი ყოველთვის ამ დიდი პროგრამის განუხრელი შემსრულებელი იქნება.

ცხადია, ყოველივე ეს ჩვენ, ტყიბულელ მეშახტეებს, აღგვაფრთოვანებს და მოგვიწოდებს ვიმეშაოთ უფრო თავდადებით, შემოქმედებითად. ამასთან გავაძლიერეთ დისციპლინა შრომასა და ყოფაში.

ამ საზეიმო დღეებში პირადად ჩემი და ყველა კოლეგის სახელით ვაცხადებ, რომ ძალასა და ენერგიას არ დაგზოგავთ ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების განსამტკიცებლად.

ლ. კირაკოსაძე,
ტყიბულის დახავლეთის შახტის № 1 საეკსპლოატაციო უბნის მეხვეტე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

გამარჯვების ურყევი რწმენით

მელეგაზეები გავეცანი მოსკოვში, სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მოხსენებას, რომელიც სოციალიზმის მარადიული საქმის გამარჯვების ურყევი რწმენით არის განმსჭვალული.

ცხადია, მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლა ადვილი არ არის, იგი მოითხოვს იმპერიალისტური წრეების წინააღმდეგ თანაბამდგარულ შეტევას, განსაკუთრებით ახლა, როცა დასავლეთში და, კერძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში, გაეკიფინენენ ომის გამრეალებელთა დაჯგუფებანი.

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის წლებში ამ შენაერთის ესაოდნოდი, რომელიც როდიდ-ცევეს სახელოვან დიეფიროსთან და სხვა საბჭოთა ნაწილებთან ერთად მონაწილეობდა სტალინგრადთან მტრის გარეშოცვის გარდვევაში. ეტყობა, წარსული ომის გაკვეთილიდან სათანადო დასკვნები ვერ გამოტანეს იმთა, ვინც მსოფლიოს ბრუნვაში იარაღითა და გამანადგურებელი ომით ეშინკრება. მაგრამ ეს არ მოხდება. ლენინური პარტიის გარშემო მტკიცედ დარაზმული საბჭოთა ადამიანები ყოველ ღონეს იხმარენ ქვეყანად მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

ნ. თაბაორთაქილაძე,
გადამდგარი გენერალ-მაიორი.

შრომითს ვახტზე

ბორისა და ბალის რაიონების მექანიზატორებმა საქართველოში პირველებმა დაუბრუნეს მხარი ეხტონეთს, ბრიანსკს, პოლტავას და ტაშკენტის ოლქების მექანიზატორების თაოსნობას, რომლებმაც სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის აღსანიშნავად გადაწყვეტეს სახელოსნოებში, სარემონტო საწარმოებში, ტექნიკური მოსამზადებლის პუნქტებში მოაწყონ მასობრივი სოციალისტური შეჯიბრება.

ბორის რაიონის სოფლტექნიკის ტუკიავის სპეციალიზებულ განყოფილების კოლექტივმა ვალდებულება იკისრა, სამუშაოდ გამოიყვანონ 180 სხვადასხვა მარკის ტრაქტორი, 80 სახნავი-სათესი ბალების ბაღების ჩაბარებისათვის, 19 მარცვლის ასაღები კომბაინი და სხვა ტექნიკა. მექანიზატორები პირობას დებენ, რომ გეგმით გათვალისწინებულზე 2 პროცენტით და მეტად შეამცირებენ სახსრებისა და მასალების ხარჯვას, დაზოგავენ მნიშვნელოვანი რაოდენობის ნავთობპროდუქტებსა და ელექტროენერგიას, ზზად არიან სამუშაოდ ტუკიავის სპეციალიზებულ განყოფილებაში გარემონტებული ტრაქტორები. კომბაინები, სათესელები.

სურათებზე: სარემონტო სახელოსნოს გამგე რამინ გიგუაშვილი (მარცხნივ) და სახაზო მექანიკოსი ჯემალ ხურამელი ავაჟებენ შრომითი დღის შედეგებს; კომბაინის არემონტებს მოწინავე მექანიზატორი ზოთა მასიხურაძე.

ი. დავითაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ტექნიკა მზადაა

მეგობრული შეხვედრა

28 დეკემბერს წინათ მიღწეული მორიგების შესაბამისად ჯამბართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვ. იარუზელსკის მოლაპარაკება.

საუბრის დროს განიხილეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის, სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ყოველმხრივი თანამშრომლობის უმნიშვნელოვანესი პრობლემები.

ვ. იარუზელსკიმ ილაპარაკა იმაზე, თუ რა საქმიანობას ეწევიან პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა პოლონეთში პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაციის უზრუნველყოფისათვის. მან მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა კავშირის ძმურ დახმარებას.

ი. ვ. ანდროპოვმა გაამუქა მუშაობა, რომელსაც პარტიული ორგანიზაციები ეწევიან სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის. ითქვა, რომ საბჭოთა კომუნისტები, საბჭოთა ხალხი მუდამ სოლიდარობენ პოლონელ კომუნისტებს, მშრომელთა ბრძოლას სოციალიზმის განმტკიცებისათვის, კრიზისის დაძლევისათვის.

შეხვედრის მონაწილეებმა გამოაცხადეს, რომ ორ მოძმე პარტიას გადაწყვეტილი აქვს ავლა-ვაც განამტკიცონ საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ურთიერთობა საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროში, მეტადრო ინტერნაციონალურ სიერთაშორისო საქმეში შეთანხმებული ხაზის განხორციელებისათვის.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. იარუზელსკიმ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ი. ვ. ანდროპოვი პოლონეთში მიიწვია. მიწვევას იგი მადლობით დეთანხმა.

საუბარმა იმ გულთბილობის, მეგობრობის ატმოსფეროში ჩაიარა, რომელიც ერთთანეტს ორივე ჩვენს პარტიასა და სოციალისტურ სახელმწიფოს.

(საკდესი).

ი. ვ. ანდროპოვი ესაუბრა ლე ზუანს

28 დეკემბერს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვისა და ვიეტნამის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლე ზუანის შეხვედრა.

საუბრის დროს განიხილეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ვიეტნამის კომუნისტური პარტიის საქმიანობის აქტუალური საკითხები.

ამხანაგებმა ი. ვ. ანდროპოვმა და ლე ზუანმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და ვიეტნამის კომუნისტურ პარტიას და ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სსრ კავშირისა და ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის ნელშეკრულების განმტკიცებული საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის ყოველმხრივი ურთიერთობა.

შეხვედრამ გულთბილობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

საუბარი კრემლში

28 დეკემბერს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ტიხონოვი შეხვდა კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს პრეზიდიუმის წევრს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური საბჭოს მეთაურს ლი დენ ოკს.

გამართული საუბრის დროს ნ. ა. ტიხონოვმა და ლი დენ ოკმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ წარმატებით ვითარდება ორი ქვეყნის ურთიერთობა სხვადასხვა დარგში.

საუბარმა გულთბილ, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

არის 200 ათასი ტონა ციტრუსი!

დიდი შრომით გამარჯვება მოიპოვეს საქართველოს მეციტრუსეებმა. ფართოდ გაშალეს რა სოციალისტური შეჯიბრება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მან მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესარულეს ხილის დამზადების წლიური გეგმა.

რესპუბლიკის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს გაერთიანების „საქსოფლდამზადების“ ოპერატიული მონაცემებით, მეციტრუსეებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 200 ათასი ტონა ხილი, გეგმით გათვალისწინებულზე 10 ათასი ტონით მეტი.

რესპუბლიკაში ციტრუსოვანთა კრეფა გრძელდება. (საქინფორმი).

დამამზადებელთა წარმატება

საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს საწარმოების კოლექტივებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ვადამდე შეასრულეს მთლიანი პროდუქციის წარმოების წლიური გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი — გამოუშვეს 271.800 ათასი მანეთის პროდუქცია. წლის დამლევამდე გამოუშვებენ 15 მილიონი მანეთის ზეგეგმით პროდუქციას. (საქინფორმი).

საჭირო უფრო სწრაფი ბევჯი!

გადამწყვეტ ფაზაში შევიდა ამ ამოცანის გადაწყვეტა, რომ შეეასრულოთ წარმოების მოცულობის დეკემბრის გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი. წინა პერიოდში ერთვარი ჩამორჩენის გამო განსაკუთრებით დიდი დატვირთვა მოდის მესამე დეკადაზე. ცალკეულ რეგიონებში დარჩენილი დროის მანძილზე უნდა შესრულდეს თითქმის ნახევარი თვის სამუშაო. რესპუბლიკის სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტმა დეტალურად გააანალიზა პროგრამა, თუ რა მოცულობის მრეწველობის პროდუქცია უნდა იქნეს გამოშვებული 1982 წლის ბრდის ტემპის — 105 პროცენტის დონის მისაღწევად. დავალებებს გაეცნო ყველა რეგიონი, თითოეული შრომითი კოლექტივი.

სამინისტროებისა და უწყებების, გაერთიანებებისა და საწარმოების ხელმძღვანელებმა, ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანოებმა ეფექტიანად უნდა გამოიყენონ მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მიღწევისათვის შრომითი კოლექტივების, მუშებისა და მოსამსახურეების მატერიალური და მორალური წახალისების მექანიზმი.

დეკემბრის 21 დღის მანძილზე რესპუბლიკაში გამომუშავებულია პროდუქციის საჭირო მოცულობის 55 პროცენტი. ეს არ არის საკმარისი.

ავტონომიურ ერთეულებში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალია და შეადგენს 39 პროცენტს. ოპერატიული მონაცემების თანახმად, თვის დამდეგიდან აჭარის ასსრ, რესპუბლიკაში სახურეების მატერიალური და მორალური წახალისების მექანიზმი.

დეკემბრის 21 დღის მანძილზე რესპუბლიკაში გამომუშავებულია პროდუქციის საჭირო მოცულობის 55 პროცენტი. ეს არ არის საკმარისი.

ავტონომიურ ერთეულებში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალია და შეადგენს 39 პროცენტს. ოპერატიული მონაცემების თანახმად, თვის დამდეგიდან აჭარის ასსრ, რესპუბლიკაში სახურეებმა მატერიალური და მორალური წახალისების მექანიზმი.

შუალო დღიური გამომუშავება 43,2 პროცენტით ჩამორჩება საჭიროს, ანალოგიური მდგომარეობაა აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქშიც. რაც შეეხება თბილისის საწარმო კოლექტივებს, მათ 21 დღეში თვიური დავალება უკვე 65 პროცენტით შეასრულეს.

რაიონებს შორის გრაფიკის გასწორებით მუშაობენ გორდაბნის, ახმეტის, ბორჯომის, დმანისის, ხუგდიდის, მესტიის, ხაშურის, თელავის, ხობისა და ჩოხატაურის რაიონები.

უნდა გაძლიერონ მრეწველობის პროდუქციის გამოსაშვებად მიმდინარე მუშაობა ვანის, გორის, გურჯაანის, ქარელის, ყვარლის, მახარაძის, საგარეჯოს, ბოგდანოვკის, თიანეთის, ორჯონიკიძის რაიონებმა.

სულ რაიონების მიხედვით შესრულებულია დეკემბრის საჭირო მოცულობის 59,9 პროცენტი. მთლიანად რესპუბლიკაში საშუალო საღღეღამისო წარმოება 17,3 პროცენტით ჩამორჩება დასახულ მოცულობას.

(საქინფორმი).

ჩვენი კურსია: წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, მისი ინტენსივიკაცია!

დღეს მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი ჩვენი ხალხი ცხოვრობს და შრომობს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის შთაბეჭდილებებით.

საბჭოთა საქართველოს მშრომელები გულწრფელად იწონებენ სკკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მოხსენებიდან გამომდინარე დებულებებს და დასკვნებს, მოლიანად და ხაზგასმით უჭერენ მხარს კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიკის ძლიერების, ჩვეულის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების, მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და ადამიანთა კეთილდღეობის კეთილსინდისიერი პარტიისა და მთავრობის შეუნელებელი ზრუნვის პასუხად რესპუბლიკის ხალხები მეფრნტების მუშაკები პირობას დებენ, რომ გაორკეცებენ თავიანთ შეხაძლებლობებს და უფუოდ გადაწყვეტენ მათ წინაშე მდგომ ამოცანებს. მათ ხმას უერთებენ თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის შრომმელები.

ისინი ხიტყვას იძლევიან, რომ თავიანთ ყოველდღიურ მუშაობაში იხელმძღვანელებენ სკკ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით.

გავაძლიერეთ საერთო-სახელმწიფოებრივი, საერთო-სახალხო ინტერესების დაცვისათვის პასუხისმგებლობა!

სკკკ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვიდან გამომდინარე მთითიებებმა და დასკვნებმა ახლებური მუშაობისათვის, მოველენებისადმი, საქმისადმი, დაკისრებული მოვალეობისადმი ახლებური მიდგომისათვის განაწყო სამეფრნეო ხელმძღვანელები, სპეციალისტები, მუშები, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები. ჩვენი პარტიის ხელმძღვანელის გამონათქვამს იმის თაობაზე, რომ ყოველ ახალ გადაწყვეტილებას ერთსა და იმავე საკითხზე უნდა ვიღებდეთ მაშინ, როდესაც შესრულებულია წინანდელი გადაწყვეტილებანი, რომ უფრო მტკიცედ უნდა ვებრძოლოთ პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის ყოველგვარ დარღვევებს, გულმხურვალედ დაუჭირა მხარი ყველა პატიოსანმა მშრომელმა.

დიახ, სწორედ დისციპლინის განმტკიცებასთან დაკავშირებული საკითხები გასდევს წითელ ზოლად ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს. ეკონომიკის ხელმძღვანელობის მეელი სფეროს — მართვის, დაგეგმვისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის დაჩქარება, ცხადია, საშემსრულებლო დისციპლინას უნდა ეყრდნობოდეს. დისციპლინის განმტკიცებლად თავს ვერ მოვაბამთ ისეთი პრობლემების გადაწყვეტას, როგორიც არის, მაგალითად, სანედლეულო და გადამმუშავებელი დარგების შეუსაბამობისაკენ წინააღმდეგ ბრძოლა, პროდუქციის მასალაგადადების შემცირება, სახელმწიფო გეგმების დიდი დანაზარჯების ფასად შესრულება და ყველა იმ დანარჩენი საკითხის მოგვარება, რომლებზეც გამახვილდა ყურადღება პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე.

ცნობილია, რომ პლენუმის მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის გათვალისწინებული კონკრეტული პროგრამა შეიმუშავა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმმა. პლენუმის გადაწყვეტილებებში ნაჩვენებია ყველა ის გზა, რომლებიც ხელს შეუწყობს პარტიის მიზანდასახულობათა უფუო მაღალხარისხოვან და დაჩქარებულ შესრულებას.

წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის გაუმჯობესების, შრომისა და ტექნიკოეკონომიური დისციპლინის განმტკიცების, კადრებთან გეგმაზომიერი მუშაობის, მათი დამკვიდრების, ახალგაზრდობის აღზრდის, სოციალურებზე ზრუნვის, ეკონომიკური და სოციალური საკითხის ერთობლივი კომპლექსური გადაჭრის მდიდარი გამოცდილება დაგროვა თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივმა. შრომითი ტრადიციები, რომლებიც აქ წლების მანძილზე მკვიდრდებოდა და ახლა უფრო ღრმავდება, ხელს უწყობს სანარმოს წინსვლას. „ქარხანა ახლა ერთ-ერთი საუკეთესოა დარგსა და რესპუბლიკაში. ეს ფაქტი მით უმეტეს სასიამოვნოა, რომ დიმიტროველები თვითონ გამოვიდნენ დარგსა და რესპუბლიკაში საუკეთესოს სახელის მოპოვების ინიციატორებად. ამიტომაც დღეს ქარხნის ადმინისტრაციის, პარტიული კომიტეტის, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის მრავალი საკითხი სინათლეზე გამოტანას, განზოგადებას იმსახურებს.



ცოტა რამ ისტორიიდან

თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ისტორია 1941 წლის 15 დეკემბრიდან იწყება. ისტორიისთვის ეს პერიოდი შეიძლება ერთი ამოსუნთქვაც არ ყოფილ, მაგრამ საწარმოსათვის მთელი ეპოქა. მარტო ის პირველი ხუთი წელი რად ღირს, როცა ქარხანა, მისი კოლექტივი დიდი გამოცდის წინაშე წარდგა. ეს ხომ, ისევე როგორც ქვეყნის სხვა ასობით საწარმოში, ფრონტისათვის მეტად საჭირო პროდუქციის უშვებდნენ. დიმიტროველთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ბრწყინვალედ ჩაბარეს ძნელი გამოცდა და თავიანთი პატრიოტული წვლილი შეიტანეს გერმანიის ფაშიზმის განადგურებაში. ომის მომდევნო წლებში საწარმო სძლევდა მრავალ ტექნიკურ-საორგანიზაციო ხასიათის სირთულეს და ვითარდებოდა. ამასთან ერთად, იზრდებოდა მუშათა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ტექნიკური და პოლიტიკური მომზადების დონე, რაც ხელს უწყობდა წარმოების კულტურის შეუნელებელ ამაღლებას, ურთიერთს ტექნიკურ სიახლეთა თამამად დანერგვას.

საყარაულო დღევანდელი მაჯისცემა

გვესაუბრება ქარხნის დირექტორი პანკრიკო თოდუა:

უკანასკნელი წლების მანძილზე ქარხანაში გეგმაზომიერად ინერგება მთელი რიგი პროგრესული ტექნოლოგიური პროცესები, თანამედროვე ტექნიკა, შრომის ორგანიზაციის დახვეწილი მეთოდები და ფორმები. მაგალითად, გასული ხუთწლეული ეფექტიანობისა და ეკონომიკურ-ტექნიკური პროგრესის გზით მიღებულმა ეკონომიკურმა ეფექტმა რამდენიმე მილიონი მანეთი შეადგინა. ამ მხრივ შეუნელებელი მუშაობა მიმდინარეობს მეთერმეტე ხუთწლეულის დამდეგიდანვე. საკმარისია ითქვას, რომ დღისათვის ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითის ინსტიტუტში მუშავდება რამდენიმე ათეული დიდნომენკლატური პრაქტიკული თემა. ჩვენ გვესახელება, რომ საწარმოს ტექნიკური პროგრესის საქმეში ფასდაუდებელი ლვაწლი მიუძღვით ქარხნის გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს.

მაგრამ პარტიის მოწოდება — ვიმუშაოთ პრინციპით: მეტი პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით — ჩვენგან მოითხოვს ინტენსიური ხმრის უფრო დიდ უკუგებას. ვიცით, რომ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი ხელის მძიმე შრომის აღმოფხვრისათვის და დამხმარე სამუშაოების მაქსიმალური მექანიზაციისათვის. ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ქარხნის ახალგაზრდა სპეციალისტთა საბჭოს და სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებას. მაგალითად, მთელი რიგი ზომაღონშლული პრობლემების გადაწყვეტაში გვეხმარება ახალგაზრდული კომპლექსური შემოქმედებითი ბრიგადები, რომლებიც ამუშავებენ და პრაქტიკულად ამორიცხავენ კიდევ კონკრეტულ საწარმოო ღონისძიებებს.

საწარმოს ტექნიკური ბაზის გაახლება-განმტკიცების საქმეში დიდი როლი ეთქმება მანქანა-დანადგარების სწორ შერჩევასა და გამოყენებას, თანამედროვე ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის — „ბერლინ“ ... ...

საერთაშორისო ეროვნული ბიბლიოთეკა
დილაობის ჟურნალი
ცხოვრება
საქართველოს და ახალი ამბების საგენტო
კორესპონდენტები გვაცნობებენ

ფაქტები მოვლენები

პროფკავშირები: ამოცანები განსაზღვრულია

საქართველოს მრეწველობის საწარმოებში ფოთის მანქანათმშენებლობა თაოსნობის — „მაესტროს პროდუქციი — მინიმუმი დანახარჯები" — დანერგვამ რამდენიმე მილიონი მანეთი ეკონომიური ეფექტი შეადგინა ხუთწლეულის დამდეგიდან.

ასეთივე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა თბილისის საშენ მასალათა საწარმოო კომბინატისა და ცხემკომბინატის შრომელთა ერთობლივი თაოსნობა — „რეასაათიანი პროგრამა — შვიდ საათში". ამ და რესპუბლიკის შრომელთა მრავალმა სხვა პატრიოტულმა წამოწყებამ' ხელი შეუწყო დამატებითი რეზერვების გამოვლენას, რისი მეოხებითაც საწარმოში წლის დამდეგიდან დამზადდა სამას მილიონ მანეთისაზე მეტი ზეგეგმითი პროდუქცია.

ეს ითქვა საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმზე. მისმა მონაწილეებმა განიხილეს რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისა და ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1983 წლის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის შრომელთა დარაზმვის საქმეში.

მომხსენებელმა — საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ფ. მოსაზვილმა, კამათის მონაწილეებმა — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეოთხე წევრმა, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სარატმა ტ. როსტიაშვილმა, აფხაზეთის კავშირ მრეწველობის მუშაობა პროფკავშირთა სოფლო კომიტეტის თავმჯდომარემ ა. გუბაზმა, ცხინვალის ქარხნის „ემალსადენის" მუშამ ა. კაჩმაზოვმა და სხვებმა აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციები განსაკუთრებით ზრუნავენ იმ ინიციატივების გავრცელებისათვის, რომელთა მიზანია წარმოების ინტენსიფიკაცია.

ძლიერდება პროფკავშირული ორგანიზაციების როლი და გავლენა უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში. რესპუბლიკაში საყოველთაოდ აღიარებელია პროფკავშირების წვლილი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ეგემგების შესრულებისათვის შრომით და მატერიალური რესურსების კონცენტრაციაში.

ამასთან პლენუმის მონაწილეებმა პრინციპულად აღნიშნეს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. თუ არა მეურნეობრიობისა და სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის დაბალი დონით, რითი შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ ასორმოცდაშვიდმა სამრეწველო საწარმომ, რომლებმაც შეასრულეს რეალიზაციის პროდუქციის საერთო მოცულობის დეკემბერში, დაარღვიეს მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებანი? ნელა იზრდება შრომის ნაყოფიერება, საერთო არ ვრცელდება შრომის ორგანიზაციის პრიგადული ფორმა. ამ მაჩვენებლის მიხედვით რესპუბლიკა ჩამორჩება საშუალო საკავშირო ღონეს.

ყველა ეს პრობლემა, ხაზგასმით აღნიშნეს პლენუმზე, მოითხოვს ღრმა გააზრებასა და შემოქმედებითს მიდგომას, სამეურნეო ორგანიზაციებთან მუშაობის კოორდინაციას.

პლენუმმა დასახა კონკრეტული ღონისძიებანი წარმოების მართვაში მშრომელთა მონაწილეობის გაფართოებისათვის, სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის სრულყოფის, მოღალი საბოლოო შედეგების მისაღწევად მისი წარმართვისათვის. პროფკავშირების საოლქო სამეცნიერო, რესპუბლიკურმა კომიტეტებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს იმას, რომ საპირო გაძლიერდეს ბრძოლა შრომითი და საწარმოო დისციპლინის გაძმტკიცებისათვის.

რესპუბლიკის პროფკავშირულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ თავიანთ უახლოეს პლენუმებზე, მუშათა კრებებზე განიხილონ საწარმოების, საამქროების, ფერმების, ბრიგადების ახალი სოციალისტური ვალდებულებანი და შემხვედრი გეგმები, ყოველნაირად გაიტაცონ ნოვატორთა გამოცდილება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, მტკიცედ და თანამიმდევრულად განახორციელონ შრომითი, მატერიალური და საფინანსო რესურსების ეკონომიის უმკაცრესი რეჟიმი, მიაღწიონ სახალო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდებას, უფრო აქტიურად შეუწყონ ხელი სასურსათო პროგრამის განხორციელებას.

პლენუმმა მოისმინა საქართველოს პროფსაბჭოს მდივნის ზ. კვეტაძის მოხსენება „რესპუბლიკის პროფესიული კავშირების 1983 წლის ბიუჯეტისა და 1981 წლის პროფბიუჯეტის შესრულების შესახებ", აგრეთვე ინფორმაცია პროფსაბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლის შესახებ.

